

შპს “ლოჯისტიკსი”
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგაროშო
პერიოდისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
1. ზოგადი ინფორმაცია.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
4. ძირითადი საშუალებები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
5. არამატერიალური აქტივები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
7. საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
8. გაცემული სესხები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
12. საწესდებო კაპიტალი	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
13. შემოსავალი.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
14. სხვა შემოსავალი.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
16. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
18. ფინანსური ხარჯი.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
19. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
20. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
22. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
24. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების და დამტკიცების დროს 2018 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ლოჯისტიკის-ს (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდი 215096376 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე
- ინფორმაციის წარდგენაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი----- გურამი წიწილაშვილი

შპს ლოჯისტექსი-ს (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდი 215096376 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე
- ინფორმაციის წარდგენაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი



გურამი წიწილაშვილი

შპს „იოანე და კომპანია“

ს/ნ 415086604 ტელ: 555199111 EMAIL: IOANEDACOMPANIA@GMAIL.COM

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოჯისტიკსი“-ს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლოჯისტიკსი“ (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. („ფინანსური ანგარიშგება“) აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მმს ფასს) მიხედვით.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში ჩამოთვლილი შესაძლო მიზეზებისა, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს შპს ლოჯისტიკსი-ს ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსური მაჩვენებლების და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის მარაგი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 54889 ლარის ღირებულებით. ხელმძღვანელობამ მარაგი თვითღირებულებასა და ნეტო გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით კი არ ასახა, არამედ თვითღირებულებით, რაც ფასს მსს მე-13 განყოფილებიდან გადახვევაა. კომპანიის ჩანაწერების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელმძღვანელობას მარაგი თვითღირებულებასა და ნეტო გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით რომ აესახა, აუცილებელი იქნებოდა მარაგის კორექტირება. სანამ დავიწყებდით აუდიტორულ პროცედურებს, ჩვენ ვერ შევძელით ახალი ინვენტარიზაციის ჩატარებით 2018 წლის 1 იანვრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი და საბოლოო ნაშთი ფინანსური შედეგების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით იმის დაგენა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მარაგებთან,

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-8 შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად კომპანიას არ შეუფასებია გაცემული სესხები და ფინანსური მოთხოვნები, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7 051 833 ლარი და 9 315 513 ლარი (შესაბამისად) წარმოდგენილია თავდაპირველი გარიგების ფასით, მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მე-11 განყოფილების (ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები)

შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან ამ გადახრის გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე განსაზღვრული არ არის.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 2 450 397 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი 2 481 434) (იხ. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4). კომპანიის მიერ ამ ქონების შეფასება მოხდა 2012 წელს და შექმნილია გადაფასების რეზერვი, რომელიც შეადგენს 510 175 ლარს საანგარიშგებო და შესადარისი თარიღისათვის. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, მოგვეპოვებინა სამუშაო ფაილები, შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული აქტივებში შემავალი უძრავი ქონების ისტორიული ღირებულების დადასტურება პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური ანგარიშგებების სხვა შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტის წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა სტანდარტების მიხედვით შემდგომში აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებელი „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

ჩვენ დავადგინეთ, რომ არ არსებობს აუდიტის ძირითადი საკითხი, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს აუდიტში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვა).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვდგენთ მასზე

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა თანხვედრაში ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან არის თუ არა არსებითად შეუსაბამო აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევლება ამ ფაქტის ინფორმირება.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლო ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

მიხედვით; ასევე შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად, რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები

ადეკვატური არ არის -ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულობებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მოცემული მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის ოლეგი ნაჭყებია

შპს იოანე და კომპანია-ს (SARAS-F-237088) სახელით

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157) -----

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

27 სექტემბერი 2019

შპს ლოჯისტექსი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიგუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.


მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მოცემული მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შესაბამეა კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის ოლეგი ნაჭყებია

შპს იოანე და კომპანია-ს (SARAS-F-237088) სახელით

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157)



ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

27 სექტემბერი 2019

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(1 ლარის სიზუსტით)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,025,353	1,368,807	107,699
წარმოებული ფინანსური აქტივები	4,766,699	6,382,368	6,401,442
გადახდილი ავანსები	20,991	19,525	3,464
გაცემული სესხები	7,051,833	9,315,513	8,453,012
მიმდინარე მარაგები	54,889	92,769	111,582
სავაჭრო მოთხოვნები	1,453,542	1,527,509	1,138,832
სხვა საგადასახადო აქტივი	163,799	230,547	152,429
სხვა არამატერიალური აქტივები	2,239	2,504	2,769
ძირითადი საშუალებები	2,450,397	2,481,434	2,426,980
სულ აქტივები	23,989,741	21,420,973	18,798,209
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	70,848	59,776	129,078
სხვა ფინანსური ვალდებულებები	396,401	396,401	516,941
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14,668,048	15,404,865	15,959,022
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	78,407	74,049	51,153
სულ ვალდებულებები	15,213,704	15,935,091	16,656,194
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'კაპიტალი')	976,080	976,080	976,080
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	510,175	510,175	510,175
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	7,289,782	3,999,627	655,760
სულ საკუთარი კაპიტალი	8,776,037	5,485,882	2,142,015
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	23,989,741	21,420,974	18,798,209

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(1 ლარის სიზუსტით)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,025,353	1,368,807	107,699
წარმოებული ფინანსური აქტივები	4,766,699	6,382,368	6,401,442
გადახდილი ავანსები	20,991	19,525	3,464
გაცემული სესხები	7,051,833	9,315,513	8,453,012
მიმდინარე მარაგები	54,889	92,769	111,582
სავაჭრო მოთხოვნები	1,453,542	1,527,509	1,138,832
სხვა საგადასახადო აქტივი	163,799	230,547	152,429
სხვა არამატერიალური აქტივები	2,239	2,504	2,769
ძირითადი საშუალებები	2,450,397	2,481,434	2,426,980
სულ აქტივები	23,989,741	21,420,973	18,798,209
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	70,848	59,776	129,078
სხვა ფინანსური ვალდებულებები	396,401	396,401	516,941
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14,668,048	15,404,865	15,959,022
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	78,407	74,049	51,153
სულ ვალდებულებები	15,213,704	15,935,091	16,656,194
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი')	976,080	976,080	976,080
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	510,175	510,175	510,175
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	7,289,782	3,999,627	655,760
სულ საკუთარი კაპიტალი	8,776,037	5,485,882	2,142,015
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	23,989,741	21,420,974	18,798,209

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარის სიზუსტით)

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ამონაგები	5,473,100	6,053,575
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(95,258)	(64,696)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(1,164,235)	(1,134,191)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(10,000)	-
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(38,350)	(45,347)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(409,729)	(373,343)
იჯარის ხარჯი	(1,232,994)	(1,230,560)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(162,275)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(120,857)	(195,599)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(245,829)	(511,884)
საოპერაციო მოგება	1,993,572	2,497,955
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	254,200	
სხვა ფინანსური შემოსავალი	1,170,683	1,340,160
სხვა ფინანსური ხარჯი	(26,190)	(475,030)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	3,392,264	3,363,085
მოგების გადასახადი		(19,218)
მოგება/(ზარალი)	3,392,265	3,343,867

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარის სიზუსტით)

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ამონაგები	5,473,100	6,053,575
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(95,258)	(64,696)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(1,164,235)	(1,134,191)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(10,000)	-
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(38,350)	(45,347)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(409,729)	(373,343)
იჯარის ხარჯი	(1,232,994)	(1,230,560)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(162,275)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(120,857)	(195,599)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(245,829)	(511,884)
საოპერაციო მოგება	1,993,572	2,497,955
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან	254,200	
სხვა ფინანსური შემოსავალი	1,170,683	1,340,160
სხვა ფინანსური ხარჯი	(26,190)	(475,030)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე გა	3,392,264	3,363,085
მოგების გადასახადი		(19,218)
მოგება/(ზარალი)	3,392,265	3,343,867

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ლოჯისტექსი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარის სიზუსტით)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბერი	976,080	510,175	655,760	2,142,015
წმინდა მოგება	-	-	3,343,867	3,343,867
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალ	-	-	3,343,867	3,343,867
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2017 წლის 31 დეკემბერი	976,080	510,175	3,999,627.50	5,485,882
წმინდა მოგება	-	-	3,392,265	3,392,265
სხვა სრული შემოსავალი	-			-
პერიოდის სრული შემოსავალ	-	-	3,392,265	3,392,265
გაცემული დივიდენდი	-	-	(102,110)	(102,110)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2018 წლის 31 დეკემბერი	976,080	510,175	7,289,782	8,776,037

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარის სიზუსტით)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბერი	976,080	510,175	655,760	2,142,015
წმინდა მოგება	-	-	3,343,867	3,343,867
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალ გაცემული დივიდენდი	-	-	3,343,867	3,343,867
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	976,080	510,175	3,999,627.50	5,485,882
წმინდა მოგება	-	-	3,392,265	3,392,265
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალ	-	-	3,392,265	3,392,265
გაცემული დივიდენდი	-	-	(102,110)	(102,110)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	976,080	510,175	7,289,782	8,776,037

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარის სიზუტით)

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3135673	1526599
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2173547	(264843)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1093126	19073
სავალუტო კურსის ეფექტი	254200	(19721)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	6402347	1261108
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1368807	107699
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8025353	1368807

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარის სიზუსტით)

	2018 წელი	2017 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3135673	1526599
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2173547	(264843)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1093126	19073
სავალუტო კურსის ეფექტი	254200	(19721)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	6402347	1261108
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1368807	107699
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8025353	1368807

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ლოჯისტიკა” (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1998 წლის 9 იანვარს, კომპანიის ძირითადი საქმიანობა საბაჟო ტერმინალის (საწყობი) მომსახურება. ამ დროისათვის კომპანიას დაგროვილი აქვს განსხვავებული პროექტების განხორციელების კომპენტაცია, როგორებიცაა ტვირთების (კონტეინერების) დატვირთვა/ჩამოტვირთვა, დასაწყობება და შენახვა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან :

ვლადიმერ ფრიდმანი -წილის 20.75%

შპს ესპერანსი -წილის 5%

დავით წიწილაშვილი -წილის 20.75%

გურამი წიწილაშვილი -წილის 53.5%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ფოთი ლარნაკას ქ.12.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია.

კომპანიის დირექტორია გურამი წიწილაშვილი. კომპანიის მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად გადახედილი 2015 წელს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

ფინანსური ანგარიშგება შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი მსჯელობა გარდა შეფასებებისა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების

პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდათ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე აღიარებულ თანხებზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების

მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს.

ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი

დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, დამატებული ტრანზაქციების ხარჯებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა

დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ძირითადი საშუალების ცვეთის გამოთვლა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რაც გულისხმობს პირველ წელს ცვეთა ერიცხება აქტივებს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ წლებში საბალანსო ღირებულებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	8-20%
საოფისე ტექნიკა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სათადარიგო ნაწილებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექს“-ში მოგების გადასახდის დაბეგვრის რეფორმის შესახებ, რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელის“ სახელით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. თუ მოხდა მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, როლებიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩაქარი, ხარჯები რომლებიც არა ადაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, ავანსების გადახდა ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომლებიც წარდგენილია „ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი“ „სხვა ხარჯების“ და „ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელის“ მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ-ს ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურების მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით, როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტირების გარეშე.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს საბაჟო ტერმინალზე გაწეული მომსახურებიდან. შემოსავალი მომსახურებიდან შემოსავლად მაშინ აღიარდება, როცა

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში
- ანგარიშგების თარიღისათვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნა შეფასებული, და ოპერაციის დასრულებასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ შეფასებული.

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობების გარეშე.

საპროცენტო შემოსავალი და მოგება(ზარალი)/საკურსო სხვაობიდან

კომპანიის საპროცენტო შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშების ნაშთებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა

პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თანხები, რომელიც დარიცხულია გაწეული მომსახურებისთვის, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის მიერ, წარსდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში “სავაჭრო და სხვა მოთხოვნები”.

კომპანიის მოგება(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მირებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც შემოსავალი ან ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

სხვა შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, კომპანიაში სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, ექვემდებარება საქრთველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის

შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ე განყოფილების “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში” მოთხოვნის შესაბამისად.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის

ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. მიხედვად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, მაგრამ ხელმძღვანელობა დაეწმუნებულია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია უნდა იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

გ) სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს

შპს ლოჯისტიკის

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე მოვლენებს.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ამორტიზ- ებადი ძირითად ი საშუალებ- იზი	მიწა	დაუმონტ- აჟებელი მოწყობი- ლებები	ჯამი
ლარში							
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	966,299	648,860	300,878	4,612	14,134	910,943	2,845,725
შესყიდვა	3,060	76,975	10,097			-	90,132
გასვლა		-	577		-		577
გაუფასურება							-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							-
გადაფასების რეზერვი							-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	969,359	725,835	310,399	4,612	14,134	910,943	2,935,280
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის ბოლოს მდგომარეო	94,071	192,486	76,466	1,269	-	-	364,292
ცვეთის ხარჯი	33,719	59,443	27,184	246	-	-	120,592
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	-	-			-
2018 წლის ბოლოს მდგომარეო	127,790	251,929	103,650	1,515	-	-	484,884
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის ბოლოს	872,228	456,374	224,412	3,343	14,134	910,943	2,481,434
2018 წლის ბოლოს	841,569	473,906	206,749	3,096	14,134	910,943	2,450,397

5. არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად.

შპს ლოჯისტიკის

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2017 წლის ბოლოს	5,373			5,373
შემოსავლა	-			-
გასვლა				-
2018 წლის ბოლოს	5,373	-	-	5,373

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2017 წლის ბოლოს	2,869			2,869
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	265			265
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2018 წლის ბოლოს	3,134	-	-	3,134

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2017 წლის ბოლოს	2,504	-	-	2,504
2018 წლის ბოლოს	2,239	-	-	2,239

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და საწვავ-საცხებ მასალებს, რომლის ძირითადი სახეობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
საწვავ-საცხები მასალები	3,391	5,119
ნედლეული	-	-
სამშენებლო მასალები	1,809	2,115
საქონელი	31,413	43,176
სხვა მარაგები	18,276	42,359
	<u>54,889</u>	<u>92,769</u>

7. საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 163 799 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო აქტივი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახდო აქტივების და ვალდებულებების ნეტო სიდიდე შეადგენს საგადასახდო აქტივს 230 547 ლარის ოდენობით.

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

— < « 1/2 —	31.12.2018 წ მდგომარეობით
³ „ა“ — „ა“ < „ა“	85971.27
³ „ა“ „ა“ > — „ა“ „ა“ — „ა“	3600.00
³ „ა“ „ა“ „ა“ • „ა“	602383.08
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“	187400.00
³ „ა“ „ა“ „ა“ < „ა“	186904.00
³ „ა“ „ა“ „ა“ < „ა“	410400.00
³ „ა“ „ა“ „ა“ < „ა“	260753.97
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“	789327.37
³ „ა“ „ა“ „ა“ 3/4 • — „ა“	266094.72
„ა“ • — < „ა“ < „ა“	16690.00
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ 3/4 • — „ა“ (1/2 — ³ . > „ა“ .06.11.2008».)	287420.13
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ 3/4 • — „ა“ (1/2 — ³ . > „ა“ .15.06.2008».)	67720.00
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ — „ა“	2390.00
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ 3/4 • — „ა“	397228.67
³ „ა“ „ა“ — „ა“ „ა“ „ა“ „ა“	2100204.63
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“	630.00
³ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“	1386715.28
	7051833.12

არსებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად, სესხის ათვისება ხდება ეტაპობრივად. გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,453,542	1,527,509
გადახდილი ავანსები	20,991	19,525
საგადასახდო აქტივი	163,799	230,547
	1,638,332	1,777,580

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს რეზიდენტ ბანკებში (სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“ და სს „ვი თი ბი“ ბანკში) მიმდინარე ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარში და ევროში არსებულ ფულად სახსრებს.

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ფული სალაროში	649	2,569
ფული საბანკო ანგარიშებზე	8,024,704	1,366,237
	8,025,353	1,368,807

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	70,848	59,480
გადასახელი ხელფასები	78,407	74,049
გადასახდელი პროცენტები	-	296
	-	-
მიღებული ავანსები	396,401	396,401
	545,656	530,226

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

12. საწესდებო კაპიტალი

სააგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 976080 ლარს.

13. შემოსავალი

ამონაგები 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს ლოჯისტიკა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

1 ლარის სიზუსტით	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
დღგ 18 %-იანი განაკვეთით დასაბეგრი შემოსავალი საბაჟო ტერმინალზე	34,184	716,777
დღგ ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული ბრუნვა საბაჟო ტერმინალზე	5,438,916	5,336,798
სულ შემოსავალი	5,473,100	6,053,575

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 ლარის სიზუსტით	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავლები	1,099,371	992,394
დადებითი საკურსო სხვაობა	254,200	347,279
სხვა შემოსავალი	20,394	488
სულ შემოსავალი	1,373,965	1,340,160

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018 წელი (ლარი)
ვალდებულება 2018 წლის 1 იანვრისათვის	74 049
დარიცხვა წლის განმავლობაში	1164235
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(1159878)
ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	78407

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017 წელი (ლარი)
ვალდებულება 2017 წლის 1 იანვრისათვის	51153
დარიცხვა წლის განმავლობაში	1134191

შპს ლოჯისტიკა**2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის**

გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(1111295)
ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	74049

16. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

I გაწეული მომსახურების დანახარჯები

ლარი	31/12/2018	31/12/2017
სატერმინალ მომსახურების ხარჯი	25,872	167,326
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	31,657	150,029
დცვის მომსახურება	104,746	104,746
ოჯრის ხარჯი	1,232,994	1,230,559
ელექტროენერგია, გაზი და წყლის ხარჯი	399,336	362,244
დაზღვევის ხარჯები	18,063	18,753
	1,812,669	2,033,657

2. გახარჯული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი	31/12/2018	31/12/2017
სათადრიგო ნაწილები	62,683	46,605
საერთო დანიშნულების საწვავის ხარჯი	16,440	18,090
სხვა მასალები	16,135	4,926
	95258	69,620

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018	31/12/2017
შრომის ანაზღაურება	1,164,235	1,134,153
ცვეთა და ამორტიზაცია	120,857	112,618
საგადასახადო ხარჯი	38,350	45,347
საკონსულტაციო ხარჯი	10,000	7,000
რემონტის ხარჯი	21,438	36,033
ბანკის მომსახურება	1,069	1,284
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-

შპს ლოჯისტიკა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

კომპიუტერული ტექნიკისა და ქსელების შენახვის ხარჯები	1,655	1,307
მივლინების ხარჯები	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	245829	30,270
კომუნიკაციის ხარჯები	10,393	11,099
	1,571,601	1,379,111

18. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 ლარის სიზუსტით	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ზარალი (მოგება) საკუროსო სხვაობიდან		466961
სხვა ფინანსური ხარჯი	26190	8069
სულ ფინანსური ხარჯი	26190	475030

19. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები. აგრეთვე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები არის შემდეგი:

ფინანსური ვალდებულებები

ლარი

გრძელვადიანი მოკლევადიანი
ვალდებულებები ვალდებულებები

სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	70,848
2018 წლის ბოლოს	70,748

ფინანსური აქტივები

ლარი	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		8,025,353
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1,453,542
გაცემული სესხები		7,051,833
2018 წლის ბოლოს	-	9,478,895

ფინანსური ვაქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან არიან ლიკვიდური ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუსაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა სმასახურების ხელმძღვანელებზე.

მენეჯმენტის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე.

თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ.

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/ დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში). კომპანია მართავს

შპს ლოჯისტიკის

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

და აკონტროლებს საკრედიტო რისკს მომხმარებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დაწესებით და აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგით.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ლარი	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
ფული და ფულის ექვივალენტები	8.025,353	1,368,307
სხვა მოთხოვნები	1,453,542	1,527,509
სულ:	9,478,895	2,895,816

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს დებიტორული დავალიანების ვადიანობის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდურობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ლარი	ერთ წლამდე	ერთიდან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები				0
სავაჭრო ვალდებულებები	467249			467249
სულ ფინანსური ვალდებულებები:	467249	0	0	467249

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ლარი	ერთ წლამდე	ერთიდან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები				0
სავაჭრო ვალდებულებები	455881			455881
სულ ფინანსური ვალდებულებები:	455881	0	0	455881

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან-საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტები.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორე ვალუტის ფასის ცვლილებით. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს ლოჯისტიკის

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	227,955	7797397.99		8,025,353
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,272,730	180812		1,453,542
გაცემული სესხები		5,051,008	2000825		7,051,833
სულ ფინანსური აქტივები		6,551,693	9,979,035	-	16,530,728

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სესხები	11	-	396401.12		396,401
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	70,848			70,848
სულ ფინანსური ვალდებულებები	20	70,848	396,401	-	467,249

ღია სავალუტო პოზიცია

6480845

9582634

სავალუტო რისკის სტრუქტურა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	98,546	1270260.16		1,368,807
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,457,168	70341		1,527,509
გაცემული სესხები		5,430,996	951372		6,382,368
სულ ფინანსური აქტივები		6,986,710	2,291,973	-	9,278,683

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სესხები	11	-			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	59,480	396401.12		455,881
სულ ფინანსური ვალდებულებები	20	59,480	396,401	-	455,881

ღია სავალუტო პოზიცია

6,927,230

1,895,572

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისათვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018 წ.		31 დეკემბერი 2017 წ.	
	აშშ დოლარის ეფექტი	ევროს ეფექტი	აშშ დოლარის ეფექტი	ევროს ეფექტი
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	1916527	-	379114	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(1916527)	-	(379114)	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ.. საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი
- კონტროლების და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასაწესებლად საჭირო კონტროლების პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

20.კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა.
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ფასს მსს -ის 33-ე განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) ა) ან ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ გ) ან ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ საანგარიშო პერიოდისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები შეიძლება წარმოადგენდეს შემდგომად

ფინანსური ანგარიშგების მუხლი			
ლარი	კავშირი	2018 წლი	2017 წლი
ხელფასის ხარჯი			
უმადლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	დამფუძნებელი	28800	21840
		28800	21840

22. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო დავები- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები კერძო სამართლის სუბიექტებთან. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიას 2015 წლიდან შემოსავლების სამსახურთან აქვს დაუსრულებელი საგადასახადო დავა. ერიცხება დამატებით დარიცხული თანხა, რომელიც არ არის აღიარებული 106 471ლარი. საგადასახადო დავა ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის არ არის დასრულებული.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღის ჩათვლით დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

24 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ

დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს

შპს “ლოჯისტიკსი”
მმართველობითი ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო
პერიოდისთვის

შინაარსი

1. შესავალი.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
2. საქმიანობის მიმოხილვა.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
3. რას ესაქმიანობთ.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
4. ჯანსაღი გარემო შრომისათვის.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 5.ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 6.სამომავლო გეგმებიERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 7.ჩვენი გუნდი.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
8. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვაERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
9. ნარჩენების მართვაERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 10.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 11.ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 12.საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 13.კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
- 14.ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები.ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

შპს „ლოჯისტიკსი“-ს დირექტორის
მ ი მ ა რ თ ვ ა
ძვირფასო პარტნიორებო და ფინანსური და
მართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდებაა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტის პარალელურად . ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ, შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა კიდევ უფრო გავამყაროთ ის მოპოვებული ნდობა და პატივისცემა რომელიც გაგვაჩნია ჩვენი კლიენტების, პარტნიორების თუ დასაქმებულებისაგან.

ყოველი კლიენტი, ყოველი გადაზიდვა ჩვენთვის ინდივიდუალურია და მნიშვნელოვანი.

მიმაჩნია, რომ შპს „ლოჯისტიკსი“-ს მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს კომპანიის თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

საზოგადოების დირექტორი გურამ წიწილაშვილი

შპს „ლოჯისტექსი“-ს დირექტორის

მიმართვა

ბერძნული პარტნიორები და ფინანსური და
მართვითი ანგარიშის მომხმარებლები

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდებაა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტის პარალელურად. ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ, შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა კიდევ უფრო გავამყაროთ ის მოპოვებული ნდობა და პატივისცემა რომელიც გავაჩნია ჩვენი კლიენტების, პარტნიორების თუ დასაქმებულებისაგან.

ყოველი კლიენტი, ყოველი გადაზიდვა ჩვენთვის ინდივიდუალურია და მნიშვნელოვანი.

მიმაჩნია, რომ შპს „ლოჯისტექსი“-ს მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს კომპანიის თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

საზოგადოების დირექტორი გურამ წიწილაშვილი



1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი და მომსახურების სტანდარტები, მოიცავს კომპანიის როგორც განვლილ პერიოდს, ასევე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა.

2. საქმიანობის მიმოხილვა

შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“ შეიქმნა 1998 წელს და მას შემდეგ, იგი დღემდე წარმატებით ახორციელებს სატერმინალო მომსახურებას. მას გააჩნია ყველა საჭირო პირობები იმისათვის, რომ კლიენტებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის მომსახურება სწრაფად და ეფექტურად, უზრუნველყოს მათი მოთხოვნები და მაქსიმალურად მოქნილი გახადოს სამუშაო პროცესები.

იგი ძირითადად, ემსახურება საზღვაო ხაზებიდან კონტეინერების მიღებას და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთების გადატვირთვებს და ასევე მათს სამაცივრე საწყობში განთავსება-შენახვას.

შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ს საბაჟო საწყობი მუშაობს 24/7-ზე და ის არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთამაშე სატერმინალო მომსახურების ბაზაზე. კომპანია ორიენტირებულია სერვისის ხარისხზე, სისწრაფეზე და უსაფრთხოებაზე, რაც მთავარი ფაქტორია კლიენტთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის, ამასთანავე კომპანია მუდმივად ისწრაფვის დანერგოს ინოვაციური ინფრასტრუქტურა და მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ახალ გამოწვევებს, რაც მიანად ისახავს მომხმარებელთათვის მაქსიმალურად და გამარტივებულად ეფექტური სერვისის შეთავაზებას.

ჩვენი თანამშროლობა ეფუძნება ნდობის, პასუხისმგებლობის და პატივისცემის პრინციპებს.

3. რას ვსაქმიანობთ

შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“ არის მრავალფუნქციური ტერმინალი, მისი მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებსაც. მას გააჩნია ყველა საჭირო ტექნიკა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რითაც ის უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ სტანდარტებს. ტერმინალზე განთავსებულია 3 ჯოჯგინა ამწე, რომელიც საშუალებას გვაძლევს ტერმინალის ტერიტორიაზე განვათავსოთ მინიმუმ 400 კონტეინერი, აღჭურვილია 140 რეფ-კონტეინერის ჩამრთველით, გააჩნია სარკინიგზო მისასვლელი ხაზები: 340გ/მ და 197 გ/მ; მოწყობილია სარკინიგზო ბაქანი (რამპა), მისი დაცლისა თუ დატვირთვისათვის. ასევე ტერმინალს ტერიტორიაზე გააჩნია დახურული სამაცივრე საწყობი 10000 ტონის მოცულობით, ყავს 11 ერთეული ავტო დამტვირთველი, მათ შორის –2 ერთეული თანამედროვე დონის „ლინდე“-ს

ფირმის ბელოტი, რომელთა საშუალებითაც იგი ახდენს მომსახურების მაღალი სტანდარტების შეთავაზებას კლიენტებისადმი. შ.პ.ს „ლოჯისტიქსი“-ს ტერმინალზე ძირითადად ხორციელდება შემდეგი სახის მომსახურება:

1. სავსე და ცარიელი კონტეინერების მიღება-დამუშავება
2. სავსე და ცარიელი კონტეინერების დაცლა-დატვირთვა , როგორც ა/მანქანიდან ასევე სარკინიგზო ვაგონებიდან.
3. ახდენს სავსე და ცარიელი კონტეინერების შენახვას.
4. ახდენს კონტეინერიდან კონტეინერში, კონტეინერიდან სარკინიგზო ვაგონში, კონტეინერიდან ა/მანქანებში და პირიქით ტვირთების გადატვირთვებს.
5. ახდენს ტვირთების დასაწყობება-შენახვას როგორც ღია ასევე სამაცივრე საწყობში
6. საჭიროების შემთხვევაში ახდენს კონტეინერებისა და ტვირთების აწონვებს.

ეს მხოლოდ ის არასრული ჩამონათვალია იმ მომსახურებისა და საქმიანობის რასაც შ.პ.ს „ლოჯისტიქსი“ უკვე წლებია სთავაზობს თავის კლიენტებს.











4. ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „ლოჯისტექს“-ის მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

5. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „ლოჯისტექს“-ი ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ს საბაჟო ტერმინალი უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლის კამერებით, რომლებიც განთავსებულია ტერმინალის მთელ ტერიტორიაზე როგორც ყველა შემოსასვლელ-გასასვლელში ასევე საწყობებსა და ყველა გადატვირთვის ადგილებზე. ხდება ვიდეო მასალის ჩაწერა და მისი შენახვა 6 თვის მანძილზე.

შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ს საწყობში ასევე ფუნქციონირებს დაცვის სპეციალური სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით, რაც უზრუნველყოფს ტერმინალის მაქსიმალურად უსაფრთხო საქმიანობას და მისი არსებობის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი და პრეტენზია კლიენტების მხრიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მაღალკვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

6. სამომავლო გეგმები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შ.პ.ს „ლოჯისტექსი“ მუდმივად ზრუნავს მისი ბიზნესის განვითარება გაფართოებაზე, ის ახორციელებს ინვესტიციებს და ზრდის მის არეალს, გეგმავს განავითაროს სასაწყობო და სატერმინალო მეურნეობა.

7. ჩვენი გუნდი

შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ში დასაქმებულია დაახლოებით 176 ადამიანი. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და

მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულ წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი და ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის.

კომპანია იზიარებს და იღებს პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ.

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.

8. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე და გამუდმებით ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ჩვენ ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS) . გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

9. ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო მონიტორინგის ჯგუფი სისტემეტიურად ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

11. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ ყავს

12. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

13. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიის კვლევები არ უწარმოებია.

14. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.